საქართველოს პარლამენტი

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

№506
28.11.16

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის თანახმად, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა ა.წ. 28 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე განიხილა მე-8 მოწვევის პარლამენტში ინიცირებული და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში განსახილველი კანონპროექტები.

კომიტეტმა **მიზანშეწონილად** მიიჩნია, რომ გაგრძელდეს განხილვის პროცედურები შემდეგ კანონპროექტებზე:

1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-2/479, 15.04.16. ინიციატორი საქართველოს მთავრობა) და მისგან გამომდინარე პაკეტი (ჰარმონიზაცია) (პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მე-2 მოსმენისთვის განსახილველად მზად არის)
2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ , „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/567, 26.0416, ინიციატორი ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი), (პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მე-2 მოსმენისთვის განსახილველად მზად არის).

კომიტეტმა **მიზანშეუწონლად** მიიჩნია განხილვის პროცედურების გაგრძელება შემდეგ კანონპროექტებზე:

1. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/574, 18.05.16 ინიციატორი გ. ჟორჟოლიანი) (პლენარულ სხდომაზე განხილულია და მიღებულია პირველი მოსმენით)
2. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-2/123, 07.11.13 ინიციატორი საქართველოს მთავრობა), („ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსიდან გამომდინარე, პლენარულ სხდომაზე განხილულია და მიღებული პირველი მოსმენით)

კომიტეტის თავმჯდომარე

გრიგოლ ლილუაშვილი

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge